ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4880083

ნომერი: AR1736967

თარიღი : 27.02.2020

გაცემის თარიღი : 04.03.2020

გაცნობის თარიღი : 04.03.2020

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, გრიგოლ აბაშიძის შესახვევი, N 5;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ამირან ცხადაძე პ/ნ 18001054640
- ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას მე-5 კვ. კ.4, ბ. 126

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება

  რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი

  დემონტაჟი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019

წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული 2020 წლის 28 თებერვლის AR1736967 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, გრ. აბაშიძის შეს. N5-ში არსებული შენობის რეკონსტრუქციის საკითხს.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

1. ნომენკლატურის შერჩევისას დამატებით მითითებული უნდ იყოს: I კლასი- მცირე არქიტექტურული ობიექტები: ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი>ქმედებები: რეკონსტრუქცია;
2. მოთხოვნის ტექსტში დაზუსტდეს რა კონსტრუქციების დემონტაჟი ხდება;
3. არსებული სიტუაციის ფოტოსურათები -> ..ფოტოსურათების pdf ფაილი : - დამატებით წარმოდგენილი იქნეს არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოები სახურავის ჩვენებით;
4. ფოტომონტაჟი -> ..ფოტომონტაჟის pdf ფაილი :
- წარმოდგენილი იქნეს ფოტომონტაჟები სხვადასხვა ხედიდან, ასევე სახურავის ჩვენებით;
- ფოტომონტაჟზე მიტთებული იქნეს მასალა, ნიშნულები, ფერის კოდი;
5. არ არის წარმოდგნილი კონსტრუქციული დასკვნა ღიობების მოწყობასა და კონსტრქუციების დემონტაჟთან დაკავშირებით;
6. მინდობილობა მისაღები არ არის, გაცემულია ნიკოლოზ ღვინაძის როგორც ფიზიკური პირის მიერ, თუმცა ამონაწერის მიხედვით მესაკუთრეა შპს „ღვინაძე და პარტნიორები", რომლის დირექტორიცაა ნიკოლოზ ღვინაძე. შესაბამისად, მინდობილობა უნდა გაიცეს ნიკოლოზ ღვინაძის როგორც შპს „ღვინაძე და პარტნიორების" დირექტორის მიერ;
7. დაზუსტდეს ვისი საკუთრების ფარის რეკონსტრუქცია ხდება და საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილი იქნეს შესაბამისი მესაკუთრის თანხმობა.

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.

იმ შემთხვევაში თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება და მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულყოფილი სახით წარმოდგენა, აღნიშნული განაცხადი დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.